სახალხო გაზეთი

№ 752 შაბათი, 17 ნოემბერი 1912 წ. № 752

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონ. № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის“ მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან **წლის დამლევამდე ღირს** 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

13 გიორგობისთვეს დაბა ხონში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **დედა, და და ძმები.** დაკრძალვა დანიშნულია გიორგობისთვის 18-ს, ნაშუადღევის 3 საათზე. 160'

ტელეფ. № 795. **ტელეფ. № 795.**

ქართული თეატრი

კვირას, 18 ნოემბერს, 1912 წ.

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ **მეორედ** წარმოდგენილი იქნება:

ახალი ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილის

I

მთის ზღაპარი

დრამა 3 მოქმედებად.

განსაკუთრებით ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარ გ. ნადებაშვილის მიერ.

II

დარისპანის გასაჭირი

მხიარული ვოდევილი 1 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ხარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილ. ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: შაბათს, 24 ნოემბერს, **ბენეფისი ქ-ნ ნ. ჯავახიშვილისა.**

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ქართული თეატრი

შაბათს, 17 ნოემბერს გაიმართება **უკანასკნელი გამოსათხოვარი**

კონცერტი

გამოჩენილ პიანისტ **ა. კ. ბოროვსკისა**

სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.

შესრულებული იქნება: კონცერტი Es-dur ლისტისა კონცერტი C—mole **რახმანინოვისა.**

დასაწყისი საღამოს 8½ ს.

ბილეთების ფასი: პარტერში 3 მ.—1 მ.; გალლერეიაში 50 კ.—20 კაპ. ადგილების დაკვეთა შეიძლება თეატრის კასსაში. 1536.

ავლაბრის ქართ. სახალხო თეატრი (მურაშკოვსეული, თელავის ქუჩა). კვირას, 18 ნოემბერს, წრესთან არსებულ სცენის მოყვარეთა მიერ **რეჟისორის და მსახიობის ი. ივანიძის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ადგილების ფასი მომატებულია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი წევრი **ნ. ივანაშვილი.**

კვირას, 25 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება **„ყაჩაღები“** 1484

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი

კვირას, 18 ნოემბერს,

ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგ. იქნება

სოფლის გმირები,

4 მოქ. დრამა გადმოკ. პ. ირეთელის მიერ.

2, **მათიკო,** კომ. ა ცაგარლისა, მხოლოდ მესამე მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი „წრის“ დასი.

26 ნოემბ. ნ. გოცირიძის ბენეფისი. ადგ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა,** ,,წრის'' ადმინისტ. 1499

მუსულმანთა აუდიტორია. სახალხო წარმოდგენა № 4.

დღეს, 17 ნოემბერს, ✦ დაკლებულ ფასებში ✦ ხარფუხ. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება:

სამხედრო განაკში,

დრამა 4 მოქ. თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწ. იღებს: ქ-ნი ურბნელი-ხარდალიშვილისა. ბ-ნნი: ივანიძე, პეპანოვი, ქსენაფონტოვი, ფირუმიანი, ყარამანაშვილი, ყანჩაველი, ჩორდაძე, ჯავახიშვილი, მ ისურაძე, კულულაშვილი, ფაშაევი, მგალობლიშვილი, აკოფოვი, შერეშოვი, შათირიშვილი და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს წრის სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ბილეთ. იყიდ. თეატრ. კასაში დილის 10—12 ს., საღ. 6—8 ს. ფასები 4—40 კ. **10 ბილეთი დაეთმობა უმუშევართ უსასყიდლოდ.**

რეჟისორი **ნ. რაზმაძე.** გამგ. მორიგი წევრი **ბახტიანოვი.** ადმინ **ს. პეპანოვი.** 806

ტფილ. სახალხო უნივერსიტეტის წევრთა წლიური საერთო კრება

დანიშნულია **18 ნოემბერს ზუბალაშვილის** სახალხო სახლში, **დილით 10 ს.** განსახილველია: 1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა, 2) არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. 5195

წელიწადი მეთხუთმეტე.

დამუნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე

სანდო,

გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

ქუთაისი — [illegible] მამა გურიელის [illegible]

შეიძლება დავკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან

ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირაძოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშოსნისი სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულხკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1046

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი გამოცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

გრდემლი

სალიტერატურო კრებული **წიგნი მეორე**

შინაარსი: **გ. ბარნოვი** ფარჩის ახალუხი, **ა. შანშიაშვილი**—მედია და ელენე, **უპარალო**—მამელუკი, **ს. აბაშელი**—ლექსები, **ჯ. ჯორჯიკია**—ქალი, რომელსაც თავისი სახე არ უნდა ენახა, **ევდოშვილი**—ლექსი, **ა. პაპავა**—ქალის ცრემლები, **ი. გრიშაშვილი**—ლექსები, **ნ. ლორთქიფანიძე**—მრისხანე ბატონი, **კიკნა-ფშაველა**—ლექსი, **შ. ძიძაძე**—ზღვის ქალი, **მ. უზნაძე**—ლექსი, **ექ. გაბაშვილი** ფრთებ დაგლეჯილი, **გ. ტაბიძე**—ლექსი, **დუტუ მეგრელი**—პატარა სოფოს სიკვდილი, **კ. აბაშისპირელი**—ლექსი, **ნ. ნაკაშიძე**—ვინ არის დამნაშავე **ფასი 1 მ. 50 კ.** ბინაზე, წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. საწყობი იმყოფება გ. ს. რცხილაძის ოლგის ქუჩის შესახვევში, სახლში № 5. 1561.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა.

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე დილ.** 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი.** ბებუთოვის ქ., **№ 23** (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ.** 7—92 777

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ მაღლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № ჩ, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს.** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი ი. კ. აბაკელია

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** 11—2 ს. საღამ. 5—7. **1045.**

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

— გასასყიდად —

ბ. აბაშისპირელის

ლექსები:

,,ჩემი ნანინა“.

წიგნაკი მეორე. ფასი 10 კ.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფი კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606“ 1018

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

ექიმ ი. ე. ჯაში

განაგრძობს ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ქლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

სამტრედიაში

ექიმი ე. ქ. აბულაძე

ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე.

აგრეთვე **სწამლობს 606-ით.** 1576

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.** 1530

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

15 ნოემბრის სხდომა.

სხდომის გახსნის წინ მოსკოვის მიტროპოლიტმა ვლადიმერმა ანტოლიის ნიკონის და სათათბიროს სამღვდელოების თანამსახურებით ეკატერინეს დარბაზში პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისს დაესწრნენ სტატ-სეკრეტარი გოლუბევი, მინისტრთა საბჭო კოკოვცევის მეთაურობით, სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრნი. პარაკლისის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს წევრების მოთხოვნილებით რამდენჯერმე შესრულებულ იყო ჰიმნი. ამის შემდეგ სათათბიროს წევრნი საერთო სხდომის დარბაზში გავიდნენ. 2 საათსა და 10 წუთს სტატს-სეკრეტარმა გოლუბევმა დაიჭირა თავმჯდომარის ალაგი. მინისტრთა ლოჟაში იყვნენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრები. სახელმწიფო საბჭოს წევრების, სენატორების, ჟურნალისტების და საზოგადოების ლოჟები გაჭედილი იყო. გოლუბევმა წინადადება მისცა სათათბიროს მოესმინა უმაღლესი ბრძანება, მმართველ სენატს რომ მისცა 29 ოქტომბერს. ყველა ფეხზე ადგა. სათათბიროს მდივანმა საზონოვიჩმა წაიკითხა მეფის ბრძანება. ამის შემდეგ სტატ-სეკრეტარმა მიმართა სათათბიროს: „ბატ. სათათბიროს წევრთა კანონიერი რიცხვი შეიკრიბა. ვხსნი რა მეოთხე სათათბიროს სხდომას, პატივი მაქვს გაუწყოთ უმაღლესი ბრძანება, რომელიც მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ გადმოსცა. მეფემ დამავალა, მონარქის სახელით გადმოგცეთ მისი ყოვლად მოწყალე სალამი“ ცენტრში და მარჯვნივ ყვირიან: გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს!“ ხანგრძლივი „ვაშას“ ყვირილი: მარცხნივ ყვირილია: „გაუმარჯოს კონსტიტუციას!“ მარჯვნივ უსტვენენ. მემარჯვენენი და ცენტრალები ჰიმნს გალობენ.

გოლუბევი განაგრძობს: „ხელმწიფე იმპერატორმა დამავალა გადმოგცეთ მისი ყოვლად მოწყალე სალამი. და იმედია. რომ ყოვლად ლმობიერი ღმერთი დაგეხმარებათ თქვენ შრომაში. იმპერატორი ისურვებს მშვიდ და ნაყოფიერ შრომას თავის გასახარებლად

და სამშობლოს სასარგებლოდ“ გაისმის ხანგრძლივი და „ვაშა“-ს ძახილი.

გოლუბევმა გამოაცხადა სათათბიროს დებულების მუხლი, სათათბიროს გახსნისა. საგანგებო აღთქმა ხელის მოწერისა და თავმჯდომარის არჩევის თაობაზე. ვინც საგანგებო დაპირებას ხელს არ მოაწერს სათბთბიროს წევრად არ ჩაითვლებათ. სათათბიროს წევრებმა ფიცის ქაღალდს ხელი მოაწერეს: გოლუბევმა წინადადება მისცა ბარათებით დაასახელონ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ კანდიდატები. რუბინსკის და ჩხეიძეს შეაქვთ ბარათი, სადაც დასახელებულია მიზეზი იმისა, თუ რათ არ იღებს არჩევნებში მონაწილეობას შრომის ჯგუფის და სოციალ-დემოკრატების ფრაქცია. გოლუბევი განმარტავს: ბოქაულის თანაშემწე ჩამოართმევს ბაბარათებს იმათაც, ვინც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებსო. ხმების დათვლის შემდეგ გამოირკვა: როძიანკომ მიიღო 234 ხმა, ბალაშოვმა 147, ვოლკონსკიმ 10. ბალაშოვმა და ვოლკონსკიმ კენჭის ყრაზე უარი განაცხადეს. როძიანკომ სურვილი გამოსთქვა. თავმჯდომარედ აირჩიეს როძიანკო 251 ხმით, 151 ხმის წინაღმდეგობით. როძიანკოს არჩევას ცენტრი და მარცხენა მხარე მხურვალე ტაშის ცემით მიეგება. ნაციონალისტები და მემარჯვენენი სხდომის დარბაზიდან გავიდნენ. როძიანკო გაემართა თავმჯდომარის ალაგისკენ. სტატ-სეკრეტარმა გოლუბევმა დაუთმო თავმჯდომარის ალაგი.

როძიანკომ სათათბიროს შემდეგი სიტყვით მიჰმართა: „გულითად მადლობას მოგახსენებთ ამ საპატიო და პასუხსაგებელ თანამდებობის ბოძებისთვის და იმ ნდობისთვის, რაიც ეხლა თქვენ ჩემდამი გამოიჩინეთ. თქვენ ნებას ვემორჩილები და ღრმად მრწამს შემეშველებით მე გაჭირებულ დროს. მე შვენივრად მაქვს გათვალისწინებული ის პასუხისგება თქვენსა და ქვეყნის წინაშე, რაც ასე დაკავშირებულია ჩემ მოვალეობასთან. იმედი მაქვს, ღმერთი მიშველის გავამართლო თქვენი ნდობა და იმედები. მეოთხე სათათბირო იწყებს მუშაობას თვისი გვირგვინოსან წინამძღოლისადმი მორჩილების გრძნობით. ამ გვირგვინოსანის ნებასურვილით მუდამ დადიოდა რუსი ხალხი და მომავალშიაც ივლის. (ხანგრძლივი და მხურვალე ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი); რუსის ხალხს მუდამ ეხსომება, რომ იგი მოწვეულია ბრძენ ხელმწიფის ბრძანებით საკანონმდებლო მუშაობისთვის, მეფის ტახტისა და სამშობლოს სახელის მოსახვეჭად. გაერთიანება რუსეთის ხელმწიფისა და მის მორჩილ რუს ხალხისა, აი ის ძალა რომელზედაც უნდა დავამყაროთ ჩვენი მუშაობა“. (ტაშის ცემა, ხმებია: „მართალია“!) ყოველთვის ვიყავ და ვიქნები შეგნებული მომხრე კონსტიტუციისა, რომელიც მოგვანიჭა 17 ოქტომბრის მანიფესტმა. (ყველა სკამზე ტაშის ცემაა) რუსეთის ხალხი, ვინც აქ გამოგვგზავნა ელის ჩვენგან დაუღალავ მუშაობას და ზრუნვას რუსეთის სამხედრო ძლევა-მოსილების გასამაგრებლად, განსავითარებლად. (ცენტრში ვაშას იძახიან). იგი მოელის საკანონმდებლო მუშაობას, მოელის კანონის მორჩილების დამტკიცებას და თვითნებობის დასჯას (ტაშის ცემაა).

ქვეყანა მოელის ჩვენგან ადგილობრივ თვითმართველობის გაფართოვებას, ეკონომიურად გაღონიერებას (მხურვალე ტაშის ცემაა). ჩვენ მოგველის ფრიად ვრცელი და რთული საზოგადო საქმის გაკეთება და უნდა ვეცადნეთ განვახორციელოთ, გავაკეთოთ ეს საქმე, მშვიდობიანი და დინჯი შრომით. პატივისცემით მოვეპყართ მოპირდაპირის აზრს და მიზანი მიღწეული იქნება. (ხმები: „ვაშა“, ტაშისცემა). გვახსოვდეს, ბატონებო, ერთი მცნება, ერთი მიზანი—კეთილ-დღეობა და ბედნიერება ჩვენი დიდებული სამშობლოსი (ძლიერი და ხანგრძლივი ტაშისცემა) სახელმწიფოს სახელის და მის მთლიანობის დასაცავად მზადა ვართ შევწიროთ ჩვენი ძალა და სიცოცხლე, თუ ის ღრუბლები, მსოფლიო ჰორიზონტზე რომ გამოჩნდნენ, მრისხანებას და ხიფათს დაგვემუქრებიან. (ხანგრძლივი ტაშის ცემა) რათა გონივრულად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა, მოგიწოდებთ შეთანხმებულ მუშაობისკენ. ავიცილოთ თავიდან უსარგებლო და საქმისთვის მავნებელი უთანხმოება. კიდევ ვითხოვ თქვენ შველას ნაყოფიერ მუშაობისთვის. ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა მოგიმართოთ ხელი მუშაობაში. ერთხელ კიდევ გიხდით უღრმეს მადლობას და მდაბლად თავს უკრავ სათათბიროს (საერთო ტაშის-ცემა).

სათათბირომ დაავალა როძიანკოს გადასცეს მეფეს უქვეშევრდომილესი გრძნობა სათათბიროსი და სიხარული მემკვიდრე ცესარევიჩის განკურნების გამო.

შემდეგი სხდომის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. საბოტანიკო ბაღში** ამჟამად ერთს დიდს აუზს აგებენ დუღაბისაგან. აუზში 10,000 ვედრო წყალი ჩაეტევა.

✦ 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, სახალხო სახლში **სალიტერატურო შეჯიბრება** გაიმართება. რამდენიმე ლექტორი წაიკითხავს ლექციას ქალთა საკითხის შესახებ. დასასრულ კამათი გაიმართება.

✦ **საუკეთესო ჯიშის ფრინველთა მომშენებელი სადგური,** რომელიც კავკასიის საბრეშუმო სადგურთან დაარსდა, მომავალ მარტიდან სოფლის მეურნეებს ფრინველთა კვერცხებს დაუგზავნის.

✦ **სახალხო აუდიტორია ხარფუხში.** ხარფუხის კულტურულ—განმანათლებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რათა ხარფუხში საქალაქო მიწა დაუთმოს აუდიტორიის ასაშენებლად.

✦ საქართველოს საექსარხოსო სკოლების საოლქო ზედამხედველი დეკანოზი **მ. პაშკევიჩი,** რომელიც გურია-სამეგრელოში იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს შესანახ ხარჯად** ქალაქის თვითმმართველობას ხარჯთაღრიცხვით 2,279 მ. 8 კ. აქვს გადადებული. ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში ხაზინაში შეიტანა 2,279 მ., გუშინ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას საგანგებო ქაღალდი გაუგზავნა, რომელითაც წინადადებას აძლევს გამგეობას, დაუყოვნებლივ შეიტანოს ხაზინაში დანარჩენი 8 კაპ.

✦ **საზოგადო კლუბში** დღეს, საღამოს, წარმოდგენა და საოჯახო საღამო გაიმართება.

✦ **ქალაქის სამშობიარო თავშესაფარში** წარსულ ოქტომბრის განმავლობაში 158 ქალსო მულოგინია.

✦ **ავჭალის წყლის მილს** წარსულ ოქტომბრის განმავლობაში ტფილისისთვის მიუცია 26,143,926 ვედრო წყალი. სულზე დღე-ღამეში 2,76 ვედრო მოდის.

✦ კვირას, 18 ნოემბერს, შესდგება **სახალხო კითხვები** შემდეგ აუდიტორიებში:

1) საქიმო დარბაზში წაიკითხავს ქ-ნი ნასიძე „ექიმი ისაკი“. 2) ნაძალადევში—ქ-ნი ასათიანი „ბახტრიონი“. 3) ხარფუხში—ქ-ნი უთმელიძე „ქალაქელი ძმა“.

✦ **ქალაქის მეორე ღამის თავშესაფარში** წარსულ ოქტომბრის განმავლობაში ღამე გაუთევია 178 კაცს. ამათში რუსი ყოფილა—131, სომეხი—16, ქართველი—16, პოლონელი—4, გერმანელი—3, თათარი—5 და ებრაელი 1.

✦ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ახალგაზდა **პოეტ ბ. ახოსპირელის** ლექსთა კრება **„ჩემი ნანინა“** (წიგნაკი მეორე).

✦ 15 ნოემბერს ტფილისში შეიპყრეს 94 უპასპორტო.

✦ 15 ნოემბერს დიდუბის თავშესაფარში უეცრად გარდაიცვალა ლეონ ჟივიცკი.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 15 ნოემბერს საზოგადოების გამგეობის კრება მოხდა. სხვათა შორის, გამგეობამ განიხილა ავლაბრის ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგის თხოვნა. თანახმად თხოვნისა, გამგეობამ დაადგინა, სამკითხველოს 15 მან. წიგნები უფასოდ დაუთმოს.

✦ ყალამშიის ქართულ სკოლის გამგემ შუამდგომლობა აღძრა გამგეობის წინაშე, რათა 100 მან. გადასდოს სკოლის შენობის დასამთავრებლად. გამგეობამ დაადგინა, საქმის ვითარების გასაგებად ყალამშიაში გამგეობის ერთ-ერთი წევრი გაგზავნოს.

✦ გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ჟურნალ „განათლების“-ს რედაქტორს რათა თავის ჟურნალში ერთი განყოფილება დაუთმოს, რომელშიაც მოთავსდება ცნობები წ.-კ. საზოგადოების მოქმედების შესახებ.

✦ 15 ნოემბრისთვის დანიშნული იყო იმ საგანგებო კომისიის კრება, რომელსაც მინდობილი აქვს წ.-კ. საზოგადოების რეორგანიზაციის პროექტის შედგენა. კრება წევრთა დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა.

✦ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ მთავარ გამგეობას გამოუგზავნა 188 მ. 63 კ. ილიას სახელობის თანხის გასაძლიერებლად. ამ თანხის სარგებლი ხმარდება საზოგადოების სკოლებს. კარგი იქნება ამავ თანხის გასაძლიერებლად მცირე ნაწილი გადასდონ ხოლმე ილიას საღამოებიდან, რომელიც პროვინციებში იმართება.

ქუთაისი

✦ დეკემბრის შუა რიცხვებში ქუთაისში გამოვა საშობაო ალმანახი „მცინარე“ ლიტერატურულ-იუმორისტული პროგრამით.

✦ **ქართველთა შორის წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებას** დღემდე 219 წევრი შეუძენია, ამათგან იმერეთის ეპისკ. გიორგის შეუწირავს ექვსი თუმანი, გიორგი თვალავაძეს ერთი თუმანი, დ. ლექვინაძეს ორი მან. დანარჩენი სამ მანეთიანი წევრებია. ეს მეტად მცირე რიცხვია ქუთაისისათვის, სადაც, სულ რო შევამციროთ 4–5 ათასი ქართველი მოიძებნება, თუ მეტი არა, რომ სამი მანეთის გამოღება არ გაუჭირდეს წლიურად ამისთანა დიდ ეროვნულ საქმისათვის.

✦ 5 ნოემბერს საგუბერნიო სატუსაღოს ტუსაღს, ვასილი სურკოვს, რაღაც ნაირად შეუძენია ჯარის კაცის მუნდირი და განუზრახავს საღამო ჟამს ციხიდან გამოსვლა; როდესაც მიდიოდა ჭიშკრისკენ, შეუმჩნევია სამზარეულოს მორიგ ზედამხედველს და დაუბრუნებია: წერეთლის შეკითხვაზე ვინ არის, ან სად მიდის, მას უპასუხნია ჯარის კაცი ვარ, პურზე მივდივარო; ამასობაში სხვა მოსამსახურეებიც მოსულან.

სასამართლო

გუშინ წინ ტფ. სასამართლოში განხილულ იქმნა სააპელაციო საქმე მასწავლებლის ბ-ნ ხაბურზანიასი, რომელსაც ქალის გაუპატიურების შეცდის გულისათვის, ქუთაისის ოლქის სასამართლომ დან. კან. 1523 მუხ. ძალით 8 წლის კატორღა მიუსაჯა. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და სისხლის სამართლის დებულებათა 525 მუხ. ძალით ერთი წლის ციხე მიუსაჯა. ბრალდებულს პალატაში იცავდნენ ნაფ. ვექილი ი. ბარათაშვილი და თანაშ. შ. მესხიშვილი.

თავ. კ. ხერხეულიძის საქმე. გუშინ ოლქის სასამართლომ, ბ-ნ ტოლპიგოს თავმჯდომარეობით დაიწყო განხილვა ქ-ნ მიტროფანოვისა და თავ. კ. ხერხეულიძის საქმისა, რომელთაც ბრალდებოდათ ყალბი თამასუქების გაკეთება და სხვისი ქონების მითვისება. ამ საქმისათვის გამოწვეულია 20 მოწმე და 6 ექსპერტი. ყველა მოწმე გამოცხადდა. საღამოს 4 ნახ. საათამდე სასამართლომ მოასწრო მხოლოდ 7 მოწმის ჩვენების ჩამორთმევა. შემდეგ სხდომა გადაიდო საღამოს 8 საათამდე. დაწვრილებით ხვალ.

ჟურნალისტის დღიური

98.

საყვედური.

მარქსისტულ გაზეთ „პრავდა“-ში მოთავსებული იყო წერილი ვარშავის არჩევნების გამო. სხვათა შორის ნათქვამი იყო, პლეხანოვი, სოციალდემოკრატების ცნობილი მეთაური, ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის „ბუნდა“-ს უსაყვედურებს, თქვენ გინდათ სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთს დაუკავშიროთო. ასეთივე საყვედურს უთვლის პლეხანოვი კავკასიელებსაო. უეჭველია, როდესაც პლეხანოვი კავკასიელებზე ლაპარაკობს, მხედველობაში ჰყავს არა საზოგადოდ ყველა კავკასიელი, არამედ კავკასიელი სოციალ-დემოკრატები.

ფრიად საინტერესო და საყურადღებო საყვედურია. ჩვენებურ სოციალდემოკრატების აზრი ეროვნულ საკითხზე ყველას ძალიან კარგად მოეხსენება. იცის მკითხველმა, როგორ ექცევიან სოციალ-დემოკრატები ეროვნულ მოთხოვნილებებს, იცის, რომ ამ ნიადაგზე დიდი ხანია ბრძოლა არსებობს ორ დემოკრატიულ ჯგუფს შორის, იცის, რომ ბრძოლით დაბრმავებული სოციალ-დემოკრატია ბატონ-ყმობის მომხრეებთაც კი ნათლავენ თავიანთ იდეიურ მოწინააღმდეგეთ მარტო იმიტომ, რომ მათ სწამთ ეროვნული იდეალი,—იცის ყველა ეს მკითხველმა, და სწორედ ამიტომაც გაუკვირდება, რაღა აქვს სასაყვედურო სოციალ-დემოკრატების პაპასო.

მაგრამ ძაღლის თავიც სწორედ აქა მარხია. პლეხანოვს თავისი თავი სოციალისტად და დემოკრატად მოაქვს და ის კი ვერ მოუნელებია, რომ პატარა ერებმა, როგორც განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებულებმა, ცოტა განსხვავებული კილოთი დაიწყონ ლაპარაკი და ცოტა მეტი ყურადღება მიაქციონ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას. სოციალ დემოკრატების მეთაურის დიქტატორული აზროვნება ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ერს შეუძლიან გადალახოს პლეხანოვის კაბინეტში შემუშავებული გეგმა მოქმედებისა და ისეთს გზას დაადგეს, რანაირიც თითონ მიაჩნია სასარგებლოდ თავისთვის.

თუ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატების მოქმედებაც საყვედურს იწვევს პლეხანოვის მხრივ, ადვილად წარმოსადგენი უნდა გახდეს, რამდენად ღრმად გაუდგამს მასში დიქტატორულ აზროვნებას და რამდენად ძლიერადა მჯდარა ამ სოციალისტსა და დემოკრატში სტოლიპინური იდეა ძლიერ სახელმწიფოსი.

შინაური.

არისტო ვასილის ძე ქუთათელაძის ხსოვნას

ქართულმა [illegible] მიიღო მეტად სამწუხარო ამბავი: ხონში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაცვლილა არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე. განსვენებული ღირსია იმისა, რომ მისმა მეგობარ-ამხანაგებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ მის პიროვნებას. ქართული გიმნაზია, და საზოგადოდ სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში, დიდად დავალებული იქნება ძვირფას არისტოსაგან. ეს კიდევ ცოტაა. ჩვენი სამშობლო იცნობს განსვენებულს როგორც მეცნიერს, როგორც მოქალაქეს. არისტო იყო ნამდვილი მამულიშვილი.

როგორც ამხანაგი, არისტო დაუფასებელი ადამიანი იყო. მეგობრის ინტერესს თავის ინტერესად სთვლიდა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ამხანაგს გაჰყვებოდა ჭირშიაც და ლხინშიაც. სასიამოვნო მოუბარი, მახვილი ენის და მოსწრებული სიტყვის პატრონი, არისტო ყოველთვის იზიდავდა მსმენელის ყურადღებას. მის ნალაპარაკევს ადამიანი ძნელად თუ დაივიწყებდა. პირში მთქმელი, სიმართლის მოყვარე, არისტო არ ერიდებოდა თავის აზრის გამოთქმას ადამიანის ამ თუ იმ მოქმედების შესახებ. მეგობართა შორის განსვენებული იქცეოდა პირუთვნელად, გულწრფელად და ერთხელ დამეგობრებულ ადამიანს ადვილად არ დაშორდებოდა, ადვილად ხელს არ აიღებდა. და თუ ერთხელ აითვალისწუნებდა რომელიმე ამხანაგს — სერიოზულ შემთხვევის შემდეგ — არისტოს მობრუნება თითქმის შეუძლებელი იყო. მეტად ფაქიზი თავის მიფარდებაში ამხანაგებისადმი, ამასვე მოითხოვდა სხვებისაგანაც ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არისტოს ჰყვანდა მცირე-რიცხოვანი მეგობრები. გულნატკენად ლაპარაკობდა ხოლმე თავის ნაამხანაგრებზე. ვერ ჰონელებინა, ვერ შეჰრიგებოდა ვისმესგან საერთო გზის გადახვევას, იმედების გაცრუებას... მაშინ განსვენებული ნებას აძლევდა თავის მახვილ ენას მათ დახასიათებაში...

ფრიად საინტერესო ადამიანი იყო არისტო, როგორც პედაგოგი, ამ მხრივ მას თითო-ოროლა ბადალი თუ ეყოლება მთელ საქართველოში. სწორედ არისტოზეა გამოჭრილი ის აზრი, რომ ზოგი-ერთი ადამიანი იბადება აღმზრდელად და მასწავლებლად. მართლა და, რაა საჭირო რომ ადამიანი წინ გაუძღვეს მოზარდ თაობას? დაკმაყოფილება მათ ზნეობრივ მოთხოვნილებისა და მიცემა შესაფერ ცოდნისა. და ყველა ამას, რასაკვირველია, უნდა მიუძღოდეს სიყვარული ბავშვებისადმი. და არისტო უხვად იყო დაჯილდოებული ამ გრძნობით. ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მას პატარა მოწაფისათვის გვერდზე გაევლო და ალერსით არ მოჰპყრობოდა. „ბალღანა მიყვარსო“—იტყოდა ხოლმე საწყალი. მართლაც, განსვენებული ბუნებითად დედ-მამა იყო ბავშვებისა. გაკვეთილის დროს არისტო

რაა მიზეზი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დაუძლურებისა?

I

მთავრობის კაცის „აგრარულ პროგრამის“ გამო.

მთელ ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ცხოვრების დაკნინება საზოგადოების ყოველ წრისათვის თავსატეხ საკითხად გარდაიქცა. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ირაციონალურმა მუშაობამ ცხოვრების ეკონომიურსა და სოციალურს დარგებში აუცილებელი ნაყოფი გამოიღო. მწარმოებელ ძალების აბუჩად აგდებით, საზოგადოებრივი ცხოვრება თან და თან დაუძლურდა, დაეცა და მთელ ქვეყანაში გამეფდა ისეთი აუტანელი ყოფა-ცხოვრება, რომლის შესახებ ხმის ამოღება და რაიმე პრაქტიკულ ღონის მიღება პირდაპირ აუცილებელ საქმეს შეადგენდა.

ერთი წიგნი, რომელიც ჩვენი ცხოვრების დაკნინების მიზეზებს ეხება, რომელიც ცდილობს აგრარულ საკითხის გადაჭრას და ადგილობრივ ხალხის ჭირ-ვარამის განსაკუთრებულ მალამოს დადებას — გახლავსთ მთავრობის კაცის ბ. ი. ლ. სეგალის წიგნი: „Крестьянское землевладѣніе въ закавказьѣ“.1)

ჩვენ შეიძლება ყურადღებაც არ მივაქციოთ ამ ნაშრომისათვის: განა ცოტა რამ იბეჭდება და გამოდის წიგნის ბაზარზე? ყველა ისინი ხომ არ არიან ღირსნი ყურადღებისა და მუშაობისა, მაგრამ სეგალის წიგნი ჩვენი ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით არის შედგენილი. როგორც შესავალშივე გვატყობინებს ავტორი, ეს შრომა შედგენილია მიწათ-მომწყობ და მიწათ-მომქმედ მთავარმმართებლის რწმუნებულის ბ. პ. პ. არხიპოვის წინადადებით, და თან ამ წიგნში ჩვენი მთავრობის აგრარული პრაქტიკა და პროგრამა ნათლად გამოსჭვივის. ამიტომ, ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ თვალთახედვის წერტილიდან აღნუსხულ პროგრამის განხილვა და მის ნამდვილ შინაარსის სულისკვეთების გამომჟღავნება ფრიად საინტერესო საქმეა და ჩვენ რაც შეიძლება მოკლედ, სხარტად შევეცდებით ნათელვჰყოთ მისი ავლადიდება.

როგორც ყოველი მკვლევარი ჩვენი ცხოვრებისა, ისე ბ. სეგალიც ჰხედავს და აღიარებს, რომ ამ მდიდარ მხარეში დამკვიდრებულა ეკონომიური სიუძლურე, რუტინა, სიღარიბე და ცხოვრების უზრუნველყოფა 1) მაშინ, როდესაც ფინებმა თავიანთ ხავსიან ადგილებით და მიუკარებელ კლდეებით შესძლეს დაემყარებინათ ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენი სამხრეთის ხალხი კი ფიანდაზად გადაშლილ უუმდიდრეს ბუნების წიაღში ატარებს ყოვლად შესაწყალებელსა და უმწეო არსებობას. ფრიად სავალალო მდგომარეობაა, შეუწყნარებელი, არა-ბუნებრივი. ამიტომ საჭიროა აგეთი მდგომარეობა ისტორიას ჩაჰბარდეს, საჭიროა ბუნებრივად აყვავებული ქვეყანა აყვავდეს სოციალურად, ეკონომიურად. ამ სათნო სურვილებით ერთის შეხედვით აღჭურვილია ჩვენი ავტორი, ისიც მიილტვის აღადგინოს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, მიილტვის განავითაროს ხალხის მწარმოებელი ძალები, მაგრამ ეს ლტოლვა პრაქტიკაში განსაზღვრულ გეგმის შემუშავებას მოითხოვს, ცხოვრების აღდგენა შეუძლებელია თუ არა გვაქვს გარკვეული და ნათელი სამოქმედო პროგრამა. პროგრამა კი თავის მხრივ მოითხოვს ალღოს ართმევას იმისას, თუ საიდანაა გამოწვეული აგეთი სავალალო მდგომარეობა, რა ძირითადი მიზეზებია მხარის დაკნინებისა. ამიტომაც ბ. სეგალიც ამ ძირითად მიზეზების კვლევაძიებაში არის ჩაჭრილი, მისი ნაშრომის ბევრი ნაწილები ამ მიზეზების აღნუსხვას ეხება.

რა მიზეზია ამიერ-კავკასიის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრების დაკნინებისა, საიდან მომდინარეობს გლეხ-კაცობის ნივთიერად სივიწროვე, რაა მიზეზი მოუსავლობისა, გლეხების უმიწა-ადგილობის შესახებ საყვედურებისა და სხ. და. სხ. ყველა ამ მიზეზების ჩამოთვლითა და ახსნით ის ასახელებს ამ მიზეზების მომსპობ საშუალებებს, იმ აგრარულ პროგრამას, რომლის განხორციელებით ჩვენი ქვეყანა ხელთ-უქმნელ სამოთხედ უნდა გარდაიქცეს.

ერთის მხრით, საგულისხმო მიზეზს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაკნინებისას ჩვენში ბ. სეგალი ჰხედავს ამიერ-კავკასიის ისტორიულ წარსულში. მეცხრამეტე საუკუნეში ერთი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა მეორეზე შეიცვალა, ამ პერტურბაციამ მთელ თავის ტკივილებით, ომიანობით, დაუდეგრობით და შფოთით მეტად ცუდი გავლენა იქონია ადგილობრივ სოციალ-ეკონომიურ კულტურაზე და მისი განვითარება ძალზე შეაფერხა1). მეორე მხრივ, ცხოვრების დაკნინების პირველ მიზეზს ბ. სეგალი ჰხედავს ადგილობრივ ბუნების სიუხვეში, თვალწარმტაც სიდიადესა და სიმდიდრეში. გულ-უხვი ბუნება ადვილად იძლევა საარსებო მასალებს, აქ მცირე შრომის დიდი ნაყოფიერობა მოაქვს და ამ გარემოებამ ხალხი გაამცონარა, შრომა შეაძულა და აქედან მწარმოებელ ძალთა განვითარება, შრომის ინტენსიფიკაცია შეუძლებელი გახდა, მეორე მიზეზი კი მომდინარეობს ტროპიკულ ჰავიდან, რომელთაც მძიმე ფიზიკური შრომის წარმოება შეუძლებელი ჰხდება, რითაც მშრომელთა ენერგია თავისთავად ეცემა. ხოლო, მესამე, მიზეზი ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების ჩამორჩენისა გახლავსთ უგზოობა, სოფლების ერთი-მეორესთან დაუკავშირებლობა, ურთი-ერთობის არ-არსებობა და სხვა.2)

ამ რიგად, ბ. სეგალმა ჯერ ოთხი მიზეზი დაგვისახელა სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების ჩამორჩენისა და სიუძლურისა. საჭიროა ეხლა ჩავიხედოთ საზოგადოებრივ ცხოვრების გულში და გავიგოთ მართლა ამ მიზეზებს გამოუწვევია ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების დაბეჩავება და დაუძლურება?

გავშინჯოთ.

ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ამიერ-კავკასიაში არ შეიძლებოდა ცხოვრებაში დადებითი მუშაობის წარმოება სახელმწიფოებრივ უფლების პერტურბაციისა გამო—ყოვლად უსუსური დებულებაა და ვერ უძლებს ელემენტარულ კრიტიკას. ვსთქვათ, დადებითი მუშაობა არ შეიძლებოდა და მეურნეობის განვითარებას ხელს უშლიდა პირველი ნახევარი მე-XIX საუკუნისა, როდესაც განუწყვეტელი ომიანობა და აჯანყებები ხდებოდა მთელ მხარეში. მაგრამ ისტორიიდან ვხედავთ, რომ ომიანობა მოისპო ჩვენში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ხელში. მე 60 წლებიდან ამიერ-კავკასიაში მყუდროება დამყარდა, ასე რომ ამიერიდან არევ-დარევისა და პოლიტიკურ მოუწყობლობის ჩვენი ცხოვრების მიზეზად დასახვა ყოვლად შეუძლებელია. ამ ხანიდან ხომ შესაძლებელი იყო სოფლის კულტურის აღდგენა და აყვავება. განა კაპიტალისტურ ხანაში ნახევარი საუკუნე ნატურალურ ცხოვრების მთელ საუკუნეებს არ შეედრება თავისი მძლეთა-მძლეობით? თანამედროვე აგრი-კულტურის განვითარება დაიწყო განსაკუთრებით მესამოცე-და-ათე წლებიდან. სულ რაღაც ათ წლებში ამ აგრი-კულტურის შემწეობით—არგენტინამ, კანადამ, შეერთებულმა შტატებმა, რომელზედაც საწარმოვო იმედებს არავინ ამყარებდა, იმდენად წინ გადადგეს ნაბიჯი, რომ რუსეთი, რომელიც ხორბლეულობის კულტურით მსოფლიოს ბაზარზე პირველობას ჩემულობდა, იძულებული გაჰხდა გზა დაეცალა და არგენტინის, კანადის და შტატების კულტურისათვის გადაეცა პირველი ალაგი. სულ რამდენიმე ათეულ წლებში — მიწათმოქმედებისათვის ისეთი უხეირო ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, ბელგია სამეურნეო ნაწარმოებით თავს ვერ იკვებავდა, პირველი საარსებო საშუალებები იძულებული იყვნენ სხვა სახელმწიფოებიდან შემოეტანათ, მაგრამ აგრი კულტურამ ამ ქვეყნებში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და სულ მოკლე ხანში ეს ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო ფერმებითა და ქარხნებით მოიფინა. დღეს ეს ქვეყნები თამამად

---

1) გამოცემულია ქ. ტფილისში 1912 წ.

1) იხ. გვ. 2.

1) Крестьянское землевладѣніе—გვ. 2.

2) იხ. გვ. 3.

წარმოადგენდა ნამდვილ მსახიობს; იგი ახალგაზდავდებოდა, მთლად მიეცემოდა ხოლმე გაკვეთილს და თავის მახვილი ენით შეჰქონდა სიცოცხლე საქმეში. ბავშვებს დიდი ხალისი ეტყობოდათ მის გაკვეთილზე. მის მოსწრებულ სიტყვას ბევრჯელ გაუცინებია კლასი—სალის სიცილით, მაგრამ ისევ ჩამოვარდნილა სიჩუმე და მოწაფეები სმენად გადაქცეულან. რასაკვირველია, ამ გვარ ადამიანს დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა ბავშვების განათლებაზე. და აკი მისი მოწაფეები დიდი მადლიერნიც არიან მისი და დიდის პატივის ცემით იგონებენ მის სახელს... არისტოს მოსვენებას არ აძლევდა საკითხები სამშობლოს ბედ-იღბლის შესახებ. ამ შემთხვევაში განსვენებული შეურიგებელი მტერი იყო მოწინააღმდეგისა. დაუღალავად და სასტიკად იცავდა საქართველოს ინტერესებს ისე, როგორც მას ესმოდა სამშობლოს სარგებლობა. „მე ხომ ვეღარ მოვესწრები საქართველოს ბედნიერებასო—იტყოდა ხოლმე საწყალი—აქ პატარებში მაინც უნდა ავღზარდო სიყვარული მამულისადმიო“. ამ გრძნობის ჩასანერგად განსვენებული ცდილობდა მრავალ-გვარად. სამშობლო გეოგრაფიის სწავლების დროს, ის უთითებდა საქართველოს წარსულ დიდებაზე; სხვა და სხვა მოთხრობების და ლექსების შინაარსის გარჩევიდან აღწევდა ისევ იმ მიზანს: სიყვარული სამშობლოსადმი. ყოველ შემთხვევას ეძებდა, რომ ეს გრძნობა განეკითარებინა თავის მოწაფეებში. და ჩემის ღრმა რწმენით, მიაღწია კიდეც თავის განზრახვას: მე არ მეგულება მის მოწაფეთა შორის გინდ ერთიც, რომელსაც უარი ჰყოს ამაზე.

ამ გვარი კაცის დაკარგვა დიდ დანაკლისს უნდა შეადგენდეს ჩვენთვის. ჩვენი ცხოვრება იმდენად ღარიბია კულტურული ძალებით, რომ ყოველი ამგვარი უბედურება საგონებელში აგდებს ადამიანს. არისტომ თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერებაში—ქართულ ენის კვლევა-ძიებაში. არისტო იყო ნამდვილი მოქალაქე, მტკიცედ დამცველი თავის მიმართულებისა, რასაც დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში და რაც შეადგენს იშვიათ მოვლენას ჩვენ უბადრუკ ქვეყანაში, ვინაიდგან აზროვნობის ორჭოფობა, ხასიათის სისუსტე, მიმართულების გამოურკვევლობა მრავლად გვახვევია თავს და აი ამ გარდამავალ დროს დაკარგვა იმ გვარ ადამიანისა, როგორიც იყო განსვენებული არისტო, დიდ ზიანს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყნისათვის. დღეს არისტოს ენა უტყვია, მისი სული არ-არსითაა შეპყრობილი.... სამაგიეროდ საქართველოს კულტურული ისტორია ვალად დაინახავს, რომ მისი სახელი აღბეჭდოს თავის მიუდგომელ ფურცლებზე. და ეს არის ერთად-ერთი ნუგეში დღევანდელ საქართველოს მოღვაწისა...

დვ. ქადაგიძე.

იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს და ნაწილი თავიანთი ნაშრომისა უცხოეთის ბაზარზედაც გააქვთ. ჩვენ რა დაგვემართა, რომ ძველ ორმოცდაათი წლის განმავლობაში (მე 60 წლებიდან), როდესაც ყოველგან სრული მშვიდობიანობა იყო დამკვიდრებული, არ იქნა და არა, სოფელი ვერ აღსდგა და კულტურა ვერ განვითარდა? პირიქით, სოფლის კულტურა ზოგიერთ კუთხეში კიდევ უფრო დაეცა და ხალხის სიღარიბე უმწვერვალესად განვითარდა. როგორ უნდა ავხსნათ ეს საოცარი გარემოება? დიაღ, სრულიად არაფერს შუშმის ბ. სეგალის მიერ დასახული ერთი მიზეზი ჩვენი ცხოვრების დაცემისა, მხარეში პოლიტიკური მოუწყობლობა არაფერს გვიხსნის და ამიტომ გადავიდეთ სხვა მიზეზზე.

სხვა მიზეზებიც ნამდვილ იდილიას წარმოადგენენ. ბუნების სიმდიდრე და ტროპიკული ჰავაა უბედურების მიზეზიო. რომ ეს მიზეზი ყოვლად უსუსურია და ფრიად უმნიშვნელო, ამაზე თვითონ ბ. სეგალიც უნდა დაგვეთანხმდეს, თუ მას ოდნავ მაინც შერჩენია უნარი ლოღიკური მსჯელობისა. პირველ ყოვლისა, მოვახსენებ ბ. სეგალს, რომ სიცხე ძლიერ აწუხებს, მაგალითად, ჩინელებს და იაპონელებს, მაგრამ ჩინელებში შრომის ინტენსიფიკაცია სახელგანთქმულია და განვითარებულია უმწვერვალესად. ჩინეთში ხომ აქაურზე მეტია სიცხე? მაშ შრომა იქ არ უნდა იყოს ინტენსიურად განვითარებული. როგორ უნდა აიხსნას ეს გარემოება? რაც შეეხება მდიდარ ბუნებას, განა არ იცით, რომ შეერთებულ შტატების ბუნებრივმა სიუხვემ ამერიკელები კი არ გააძცონარა, არამედ მეტად დააწინაურა ეკონომიურად, მეტად გამოაფხიზლა და ბუნების ნამდვილი მეფეები გახადა. რუსეთის ის ადგილები (მაგ. ხარკოვის, კიევის და სხ. მიდამოები), სადაც მიწის სინოყიერე ბუნების ულუფას შეადგენს სხვა კუთხეებთან შედარებით უმდიდრეს კუთხეებს წარმოადგენენ, ამ ადგილებში ეხლა უმაღლესი აგრი-კულტურა ვითარდება და მწარმოებელ ძალების ფრთების გაშლას ფართე ასპარეზი აქვს დათმობილი. მაგრამ აგრე არ უნდა იყოს ბ. სეგალ, ცხადია, ცხოვრება თქვენს დედუქტიურ ჰიპოტეზებს არ შეეგუება და სხვანაირად მსჯელობს. თუ მართლა ბუნებრივი პირობებია ჩვენი შრომის განუვითარებლობის მიზეზი, მაშ ამ ბუნების ფარგლებში ჩვენი ცხოვრების აღდგენა შეუძლებელი ყოფილა. ბ. სეგალს კი მთელი აგრარული პროგრამა აქვს ცხოვრების ასაყვავებლად. რა საჭიროა ეს პროგრამა, თუ ბუნებრივად არ შეიძლება ცხოვრების გაუმჯობესობა? დიაღ, აშკარაა ბ. სეგალ, რომ თქვენი აზროვნობა და თქვენივე ლოღიკა ერთმანეთში ღრმა წინააღმდეგობაში იმყოფება და ერთი-მეორეს უარჰყოფენ, საერთოდ კი აშკარად ისა რჩება, რომ არც ტროპიკული ჰავა, არც ბუნების სიუხვე არ არის ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების დაუძლურების მიზეზი. პირიქით, ვინ იცის, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა ჩვენი ხალხი ათას გვარ შემავიწროვებელ პირობების შემდეგ, ჩვენს უხვს ბუნებას მადლიანად რომ არ გადაეშალა გულ-მკერდი ჩვენი ხალხისათვის და მცირე შრომითაც ბევრი ნაყოფიერება არ მოეცა? უამისოდ როგორ დაკმაყოფილდებოდა მრავალ სეგალების სურვილები და მოთხოვნილებანი ჩვენში?

რაც შეეხება უგზობას, ეს საგულისხმო შენიშვნაა, მაგრამ ისეთი მოვლენაა, რომლის უაღრესობაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია. შესაძლებელია სახელმწიფომ კარგი გზები გაიყვანოს მხარეში, მაგრამ საერთო ცხოვრება კი ძლიერ დაკნინებული იყოს. გზას ისეთი მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში, როგორც განათლებას, იაფს სესხს, იარაღებს და სხ. ყველა ამათი სათითაოდ მეურნეობის და ცხოვრების ძირითად მიზეზად დასახვა ხომ აბსურდია ბ. სეგალ, ამიტომ კიდევ სხვა მიზეზებზე გადავიდეთ, თორემ აქნობამდე დასახელებული მიზეზები ჩვენი ცხოვრების დაკნინების საქმეში ძლიერ უმნიშვნელონი და უნიადაგონი გამოდგნენ.

თევ. ღლონტი.

სოხუმის საურთიერთო ნდობის ბანკი

ოთხ ნოემბერს ქ. სოხუმში აკურთხეს მშვენიერი ახალი შენობა ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. თუმცა დილით თორმეტ საათზე იყო დანიშნული კურთხევა, გარნა ხალხმა ათი საათიდან იწყო დენა: ახლად აგებულ შენობის წინ ხალხი ფუსფუსებდა ეპისკოპოსის მოლოდინში. შენობა ქ. სოხუმში ერთ უპირველესთაგანია და სამოცი-ათას მანეთამდეა დახარჯული. საუკეთესო ადგილზეა აშენებული და შედარებით დიდს შემოსავალსაც იძლევა. შენობა სამ სართულიანია: შუა სართული უჭირავს თვით ბანკსა, ქვევით ხუთი მაღაზიაა, მესამე სართულში კი ორი ბინაა. დღესდღეობით თორმეტ ათას მანეთამდე შემოსავალს იძლევა. დიდ-ძალი ხალხის და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელთა თანადასწრებით შენობა აკურთხა ადგილობრივმა ეპისკოპოსმა. სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა და საზოგადოების თავმჯდომარემ თ-დ ნ. თავდგირიძემ.

სალამოს 4 საათზე დანიშნული იყო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. დღის წეს-რიგში შეტანილი იყო ოთხი კითხვა:

1. საზოგადოების ახლად აშენებულ სახლის ერთ-ერთ ბანკში დაგირავება.
2. წევრთა საზოგადო კრების წარმომადგენელთა სისტემით შეცვლა.
3. წლიურ საზოგადო კრებაზე ერთ-ერთ დადგენილების (კერძო კაცთ მიეცეს ბანკის მოგებიდან დახმარებაო) გაუქმება-განხილვა.
4. რჩევის ერთი წევრის არჩევა.

კრებას თავმჯდომარეობდა ბ. მ. ლ. ტომარა, მდივნად არჩეულ იქმნა ნ. ჯანაშია.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, კრებამ დაადგინა: მიეცეს ნება ბანკის გამგეობას დააგირაოს საზოგადოების უძრავი ქონება ერთ-ერთ საადგილ-მამულო ბანკში. მეორე კითხვამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

ბ-ნნი: ი. ლოლუა, გ. ზოგრაფოპულო, პ. დობრანინი და სხვანი გამგეობას მხარს უჭერდნენ და ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოების საქმეები იმდენად გართულდა, რომ დიდ საზოგადო კრებაში მათი გულდამშვიდებით განხილვა-გადაწყვეტა შეუძლებელია.

ხოლო მეორენი—ბ-ნნი თ. შათირიშვილი, ალ. სიჭინავა და სხვანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ დღევანდელ დუხჭირ დროში ერთად-ერთი ადგილი შერჩათ, სადაც საქმეზე კაცმა შეიძლება ხმა ამოიღოსო და ამასაც გვართმევთო. მაშინ, როდესაც ბანკს გამგეობის წინააღმდეგ არც ერთს ჩვენთაგანს გონებაშიც არ გაუტარებიათ; ჩვენ მათი მონა-მორჩილნი ვართო.

თ. ნ. თავდგირიძემ შენიშნა: „ჩვენ მონა-მორჩილი კი არ გვინდა, არამედ ჩვენი მოქმედების სამართლიან და მკაცრ კრიტიკის ქარცეცხლში გამტარებელი პირები: მხოლოდ ამ შემთხვევაში საზოგადო საქმე, მეტადრე ისეთი, როგორც საფინანსო დაწესებულებაა, მტკიცე ნიადაგზე დადგება და ყოველგვარი საფრთხე წინ და წინ აცილებული იქნებაო“.

კითხვის გადაწყვეტა კენჭს მიენდო: ამოუვიდა თეთრი 78, შავი კი 42. და ამ რიგად გათეთრდა. მაგრამ საზოგადოების წესდების § 39 მეხუთე მუხლი თხოულობს, რომ წესდების რომელიმე მუხლის შეცვლის დროს საჭიროაო სამი მეოთხედი ხმების, ეს კითხვა ვერ გავიდა, და ისევ ძველი წესი საზოგადო კრება ძალაში დარჩა.

კერძო პირთა დახმარების საკითხის გარჩევის დროს დიდი აყალ-მაყალი დადგა. საქმე იმაშია, რომ წრევანდელმა საზოგადო კრებამ დაადგინა: რამდენიმე მთხოვნელს მიეცეს წრევანდელ მოგების ათის თავიო—ათას ოთხას მანეთამდის. ამ პირთა შორის არა წევრნიც ერივნენ. ბანკის გამგეობამ ეს გადაწყვეტილება არ მოიყვანა სისრულეში, როგორც უკანონოდ დადგენილი—ეს თხოვნები წინ და წინ არ იყო განხილული, როგორც წესდება თხოულობსო, გამგეობის მიერ. ერთ-ერთი ამ მთხოვნელთაგანს საჩივარიც აღუძრავს ადგილობრივ სასამართლოში, და დღესაც საქმე წარმოებაშია. ხანგრძლივ და ცხარე კამათს ის მოჰყვა, რომ კრებამ კენჭის საშუალებით უარი უთხრა მთხოვნელთ და თავისი წინანდელი დადგენილება გააუქმა.

რჩევის წევრად ერთხმად არჩეულ იქნა ბ. ხ. კ. სამურიდი.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბანკის საქმეები თანდა თან კარგად მიდის და დიდძალ ხალხის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს; მისი კარი ყველასთვის ღიაა, ვისაც კი ცოტაოდენი ნდობა აქვს ადგილობრივ საზოგადოებაში. მაშ ვუსურვოთ მას წარმატება.

სოხო.

---

* * *

ვინ მომიჩინა კერასა ჯდომა,
გარედან კარი ვინ ჩამიკეტა?
რას ვიფიქრებდი დედა ამაყი
გარდვიქმნებოდი უმწეო ტყვეთა.

ჩემი ვალია შვილი აღვზარდო,
ვითა ბილილა ტურფა მდელოსა;
ამინ!—აღსრულდეს თუ კი ეს ძალმიძს
ბორკილ დადებულს, უსაშველოსა...

ბაბილინა.

მოწერილი ამბები

ერწო თიანეთის მხარე. ღვინობისთვემ სულ წვიმიან ამინდებით გაიარა აქეთ. ფშავლებმა ლეწვა გვიან იციან ხოლმე, და რაც გასალეწი დარჩათ, სულ ჩაუჯეჯილდათ და მომეტებული ქირნახული გაუფუჭდათ.

გლეხკაცობა შემოდგომას შეჰხარის და ამბობს: „შემოდგომა მსუქანიაო“. მართლაც მსუქანია შემოდგომა. გლეხს იმედი აქვს ყველას შემოდგომაზე გაუძღვება: მტერ-მოყვარეს და ქორწილ-სამლვთოობაც მაშინ უნდა გაჩაღდეს და, სამწუხაროდ, სმეულობა-ლოთობაც შემოდგომაზე იწყება ხოლმე, რასაც სისხლის ღვრა და კაცის კვლაც მოჰყვება ხოლმე. მაგალითებრ: სოფელ ჰურჭელაურში, სამლვთოს დროს ახალ სოფლელმა გლეხმა მათე რიგიშვილმა ხანჯლით მოჰკლა სომეხი გიორგი ალალოშვილი—დადიანოვი. ჯაბანიანთ სოფელში სამლოთოშივე სასიკვდილოდ დასჭრეს ერთ მანეთი დანით, ალექსი ჯაბანიშვილმა და იორდანე დულუზაურმა.

სოფელ საყარაულოში დუქანში ლოთობის დროს დათიკო ხოსროშვილმა ხანჯლით გამოფაშვა პავლე პაპიაშვილი. ბევრი მაგალითებია სხვებიც, ლოთობის წყალობით აქეთკენ ამ შემოდგომაზე.

ყაჩაღებმა მუქარის წერილების გზავნა, ერწოს მხარესაც დაიწყეს; ერთს გლეხს სამოცი თუმანი მოსთხოვეს და მეორის ასი თუმანი. როგორც გავიგეთ, პირველმა უკვე გაუგზავნაო.

პურის ფასი ჯერ-ჯერობით აქეთ სამ მანეთამდე არის. აქაური გლეხობის წლის შემოსავლის ერთს წყაროთაგანს შეადგენს ღორის გაყიდვის აღებული ფასი, წელს კი რაკი წიფელი დაძრა და აღარ იყო, ღორიც ლიებათ დარჩა და ფასში აღარავინ ყიდულობს, რაიც ძლიერ აღონებს აქაურ გლეხობას.

ქართველი ოსებში ნამყოფი.

დიმიტრი ყიფიანის მიწერ-მოწერა.

„უმორჩილესად გთხოვთ, ამა კეთილშობილთ სახლსა შინა შემოკრებილთა საზოგადოებას, მომანიჭოთ მცირე დრო, რათა თქვენგან აღმორჩეულს ტფილისის ღუბერნიისათვის კეთილშობილთ წინამძღომელს, უ. დიმიტრის იოვანეს ძეს ყიფიანს, მოვახსენო ერთი მდაბიური მცირე მაგალითი“.

„ურიცხვ კაცის გონებისაგან მიუწდომელმან გონება ხსნილმან დიდმან კეისარმან, იწყო დიადის სივრცის მტილი და შეასრულა იგი თვისის სურვილისამებრ, წაქშავილი იგი, მრავლითა მშვენიერებითა, ურიცხვთა მდელოთა, ნერგებითა და წვლილითა ხეებითა ნაყოფიერითა; ადგილ და ადგილ, ჩაურთო ღირსებით განრჩეული ხეები, რომელთაც ყოველი კაცი, მიმოხილვისათანა მტილსა მას შინა მსწრაფლად შენიშნავდა იმ განსხვავებულს ხეთაგანს და ღირს ჰყოფდნენ სხვათა ხეთა შორის. რამოდენსამე ხანს, ის განვრცელებული მტილი იყო უქმეტილოთ, და განიზრახა დიდებულმა კეისარმა, რომ უკე თუ იმმტილს არ ეყოლებოდა მემტილე ძნელი იყო მისი კეთილობა; ამისათვის, დაადგინა შიგა და შიგ მემტილენი დარაჯად ნაყოფიერთა ხეთა და სხვათა. რამოდენსამე წელს იმუშავეს დიდის ხალისით და იყო მტილი იგი აღყვავებაში და შრომა ყოვლისა მემტილისა არ იყო გაუქმებული.

ერთს საუკუნეში შეაჩნდა იმოდენის ხნის ყვავილოვნებაში მყოფს მტილსა შინა შიგა და შიგ ხეების ჭკნობა და უმეტეს იმ ღირს-შესანიშნავის ხეებისაგანი ჰსჭკნებოდა და რომელნიმე სრულიად ძირითურთ ჰხმებოდნენ. მხოლოდ მდაბლის ხისაგან ნაყოფნი მდინარეობდნენ აღყვავებაში უმეტეს და უმეტეს მრავლდებოდა ნაყოფი მათი, რომლისათვის მცუელნი იგი მის მტილისანი ჰკვირობდნენ დიდათ, ამ გუძრის ცვლილებისა და წარუმატებლობისათვის, ვერ მიხუდარილიყვნენ მიზეზს და ბრალეულ ჰყოფდნენ ერთი-მეორეს და მეორე მესამეს; ასე უნდა მოვლა და ასე არაო! თუმცა მტილის პატრონი ჰხშირად გამოსცვლიდა მემტილეებს და აყენებდა ახალსა და ახალს ძუელის მემტილეთა ჩამომავალთაგანს; გარნა ვერც ამ უკანასკნელთ შეიძლეს გამობრუნება, იმ დამჭკნარის ღირსეულის ხეებისა განედლება და რა განვლო რამდენმამე ასმა წელმა, მოაძებნინა (ბალის) პატრონმა, ერთი გამოცდილი ახლისა დროისა მემტილე და შთააბარა მას კაცს ის დიდებული ბალი და უჩვენა მას ყოველი შემჭკნარი და გამხმარი ხეები და უბრძანა: ჰხედავ შენ როგორს მდგომარეობაში არის ეს ძვირფასი ბალი და ეს ჩინებული ხეებიო?. შენსგან არას გთხოვ გარდა ამისა: ეცადე, რამოდენიც შეიძლებოდეს ამის გაუმჯობესობასაო.

ამ უკანასკნელმა მებაღემ ისე მოუარა, რომ ფერ მკრთალი ხეები აღაყვავილა და მოიყვანა თვისსავე ყვავილოვნებაში და შტონი მათნი ისე განმშვენდნენ, რომ პირველის წყობილების დროსას დაემჯობინნენ. ერთი ათათ, და ასათ მხოლოდ ძირეულთ გამხმართ ხეთ ვერ შეეწია იგი მებაღე: იხილა რა ბალის პატრონმა ესე ვითარი წარმატება, ჰკითხა მებაღესა მას, ვითარი ღონის ძიება მიიღე ამ შემჭკნარის ხეების განედლებისაო? უ. ჩემო, მიუგო მემტილემ, ამ ბალს ეტყობოდა, რომ ძველებურათ მოვლა არ შეეწეოდა და ახლა ვითარცა ჰშვენოდა ჰაერს ისე მოუარე: შემჭკნარს ხეებს ძირს ჰხშირად მოურწყავდი, ვასხავდი წყალს და მით მოსცა შემწეობა მიწამ და ჰაერმა, გაუნედლდა ფესვი და ფურცლითურთ შეჰქმნეს აღყვავება; მე ვარ ახლისა დროისა და ჰაერის მცნობი და ძველისცა მსმენია გამოცდილთ კაცთაგან, რომლისათვის მემტილემან მან უფლისა თვისისაგან მიიღო დიდი მადლობა და ჯილდო. ბ. დიმიტრი ივანეს ძევ ყიფიანო!

აჰა მეცა ერთი მით შემჭკნართა ხეთაგანი, რომელიცა ვსდგა ბალსა მას ქმნილსა დაუსაბამოს მამისაგან და ცვლილებისა გამო, დროთა და ჰაერთა დავწყლულებულ ვარ, მინუტით და მინუტით ვაკლდები მე, ყვავილოვნებასა და არიან სხვანიცა მრავალნი აქა მდგომარენი, თანა მონაწილენი ჩემთანა, დიდებულთ გვართაგანნი. ველი ჲ ელიან მკურნალისაგან განმამრთებელს წყლულებისს, შევუდექით პოვნად ღონის ძიებისა, რათა ვჰპოვოთ ჩვენ გამოცდილი მკურნალი, რომელმანცა შეგვინედლოს ძირი და შტო“.

„წრფელის გულით, დიდის მოთმინებით ჲ დიდის ცდით, ვეცადენით, ვეძიეთ, ვარჩიეთ ჲ რაოდენსაცა ვართ ცნობას მოსრულნი, გპოვეთ შენ ჩუენის გამორჩევით. უ. დიმიტრი ყიფიანო! ვა ახლისა დრჲსა გამოცდილი, ეგრეთვე მცნობი ძველისაცა დროჲსა ჲ აღმოგირჩიეთ შენ წინამძღომელად კეთილშობილთა, ქართლოსისა, უფლისისა, კახოსისა, კუხოსისა ჲ ჯავახოსისა, საუფლისწულთა ზედა ივერიასა შუა, ვიოალირსი კაცი წინამძღომლობისა სასარგებლოისა გზისადმი; ერთგულებისა შუა მისის იმპერატორებითის უდიდებულებისა ხელმწიფეს ალექსანდრეს ნიკოლოზის ძისა.“

„უ. დიმიტრი ყიფიანო!

„აჰა, წინაშე თჳალთა შენთა ჰსდგანან რაოდენიმე წევრნი კეთილშობილთაგანნი, მოკლებულნი პირველისა ღირსებისა და განათლებისა და შტონიცა ამათნი. ძენი ჲ ასულნი ცვლილებისა გამო დროისა ამიერიდგანცა, უმეტესად დაშთებიან: თანდითან ღონე მოკლებულნი, გონება განუნათლებელნი ჲ არიან განუფურჩხენელად. მხოლოდ არცა ერთი ჩვენგანი [illegible] ნი არა [illegible] ყვნეთ შემკულნი [illegible] ზედ ახლისა დროისათვის. იმედი არის და გუაქვს, რომელ, განმართლებ ჩუენის საზოგადოების ფიქრს ჲ აზრს, მიაპყრობ ყურს პირველ ძველად შენიშნულს ნაყოფიერს ხეებს დაუსხავ განსაფურჩენელს გრილს წყალს შეჰგრილებ დროსაგან შემჭკნარსა ფესვს, უხარებ შტოებს და ახლად ნორჩით ჩჩვილთ ყრმათ აღმოუმდინარებ ახალს წყაროს და მისცემ განსხვავებას ძველის დროისაგან და მათის ყვავილოვნებით, ნაყოფთა სარგებლობით ისარგებლებ შენცა და იხარებ უკუნისამდე და იქმნები დაჯილდოებულ შემოქმედისაგან სოფლისა, მრავალ ჟამიერ.“

„უ. დ. ივანეს ძევ ყიფიანო!

„მიიძღვენი ერთგულის გულით, ამ მდაბიურს მაგალითს შესხმის ჩართვით სიყრმითგან მცნობი ძმურის სიყვარულით, მორჩილი მოსამსახურე შენი.

თავადი გრიგოლ ნიკოლოზის ძე
ციციშვილი.

იზ-ს თებერვალს ჩყდ-ს.
ტფილისი.

სხვა და სხვა ამბავი

საზოგადოების და კავშირის თავისუფლება.

შინაურ საქმეთა სამინისტრომ დაასრულა კანონ-პროექტის შემუშავება. რომელიც საზოგადოებებს და კავშირებს თავისუფლებას ანიჭებს.

არჩევნების მსხვერპლი.

ტულიდან გაზეთებს ატყობინებენ: გუბერნატორმა სხვა და სხვა დაწესებულებების უფროსებს დაუგზავნა მიწერილობა დაითხოვონ სამსახურიდან ის მოხელენი, რომელთაც არჩევნებში პროგრესისტებს მისცეს ხმაო.

სტავროპოლის გუბერნატორმა დაითხოვა სამსახურიდან ქალაქის აგრონომი. მიზეზად სთვლიან აგრონომის მონაწილეობის მიღებას საარჩევნო წინასწარ კრებაზე.

ილიოდორეს ცხენი.

ილიოდორეს მომხრეებმა დიდის ამბით გააცილეს სამშობლოში ილიოდორეს ცხენი. ცხენი ყვავილებით და ლენტით იყო მორთული. პოლიციამ გამცილებლები სადგურიდან გამორეკა.

იაკობ გოგებაშვილის ფონდი

ქვემო მაჩხაანიდან ვას. მიხეილის ძე ნადირაძემ წარმოადგინა ერთი თუმანი იაკობ გოგებაშვილის ფონდის სასარგებლოდ ქვემო მაჩხანის მღვდლის იოსებ ტუკუმაშვილის გვირგვინის მაგიერ.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

16 ნოემბერი.

ბულგარეთის მხრივ

სოფია. მემკვიდრე ბორისი და კირილე ქალაქ სერესში ნახეს. ბულგარეთის სააგენტო აბათილებს ხმებს, ვითომ ბულგარეთის ჯარმა სალონიკში და მაკედონიაში ურიგობა ჩაიდინა და მკვიდრ ხალხს სასტიკად მოეპყრაო.

„მირი“ იუწყება: ბულგარეთის ჯარმა ოსმალებს წაართვა 350 ვაგონიო.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: ტყუილია ცნობა საზღვარგარეთელ გაზეთებისა, ვითომც ბულგარებს 90.000 კაცი მოუკლეს, ჯარის ავადმყოფობაა და სურსათის უქონლობაო.

სოფია. ჯარში გაწვეულია 3 დეკემბრისთვის ახალგაზდა ჯარის-კაცნი 1914 წლისა.

ათინა. დილით სალონიკიდან გამოვიდა 12,000 ბულგარელი ჯარისკაცი.

საბერძნეთის მხრით.

ათინა. ცხენოსანთა ჯარმა დაიჭირა კასტრია.

სერბიის მხრით.

ბელგრადი. გზად მიმავალმა სერბიის ჯარმა დაიჭირა ელბასანი, ტირანი და დრაჩი. მაკედონიაში დაარსდა 11 სერბიის ოლქი. სერბიის ჯარის მთავარი ნაწილი ადრიანოპოლთან იმყოფება.

სერბიის მთავრობას მაკედონიიდან დეპუტაცია მისდის იმ ალაგებში, რომელიც სერბიელებს არ აუღიათ და წეს-რიგის დამყარებას სთხოვს.

საზავო მოლაპარაკება.

სოფია. მოპირდაპირე დელეგატების თათბირი ხდება დანევის თავმჯდომარეობით. გუშინდელმა თათბირმა მთელ დღეს შუა-ღამემდე გასტანა. დღეს კვლავ შეიკრიბნენ.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშამ ჩათალჯაში სახელმწიფოთა დელეგატების პატივსაცემლად საუზმე გამართა.

გაზეთებიდან.

ჩათალჯასთან.

9 ნოემბერს მთელი დღე არტილერიის სროლა იყო დერკოსის ტბასა და ცენტრზე, რომლის შედეგიც ჯერ არ იციან, ამბობენ კი, რომ სერიოზული იერიში არ ყოფილაო. დაჭრილი მაჰმუდ-მუხტარ-ფაშა ამოწმებს, რომ ჩათალჯის ბრძოლის დასაწყისში სიმაგრეებთან ბულგართა მხოლოდ მცირე რაზმი იდგა; მათი ვითომ უკან დახევა სამხედრო ხრიკი იყო, რომლითაც იგინი ლამობდნენ სიმაგრეებიდან ჩვენს გატყუებასო. მაკედონიაში მოქმედ სერბიისა და საბერძნეთის ჯარს ებრძანა ჩათალჯისკენ წასვლა. ბულგარელების სიმაგრეები ზარბაზანს უშენენ ოსმალეთის სამხედრო გემებს, რომელნიც მარმარილოს ზღვის ნაპირებთან მიდი-მოდიან. 10 ნოემბერს ოსმალთა ორმა ბატალიონმა

სიმაგრეებიდან გამოხტომა ჰგანიზრახა, მაგრამ ბულგართა არტილერიამ დიდი დანაკლისით უკუაგდო.

ადრიანოპოლის ალყა.

სოფიიდან იუწყებიან: უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ადრიანოპოლში დიდი ბრძოლა იყო. ოსმალები უშეღვგოდ უშენდნენ მძიმე ზარბაზნებს ბულგარელების პოზიციებს; შემდეგ განიზრახეს საერთო გამოხტომა, მაგრამ დიდად დაზარალებულნი უკუიქცნენ. ციხიდან გამოქცეულები ამტკიცებენ, რომ ადრიანოპოლის მდგომარეობა აუტანელია: სათადარიგო სურსათი გამოილია, ჯარის-კაცები სამ დღეში მხოლოდ ერთ ნატეხ პურს ღებულობენ; საავადმყოფოები და კერძო სახლები სავსეა დაჭრილ-დახოცილებით. შიმშილისა გამო მცხოვრებთა ერთი ნაწილი გამოვიდა ქალაქიდან, მაგრამ ბულგარელებმა ისევ უკან გარეკეს.

ბერძნების გამარჯვება ეპირში.

სალონიკიდან იტყობინებიან: დასავლეთის საომარ ასპარეზზე ბერძნებმა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგეს. ქ. კიარას ახლოს ოსმალებს მოუკლეს 1.200 კაცი და 500 ტყვედ წაიყვანეს. ბიტოლიის ოლქის ოსმალთა რაზმებს გარს შემოერტყნენ სერბიელები ჩრდილოეთიდან, ბერძნები სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

დარდანელის ბრძოლა.

სტამბოლიდან ცნობაა: სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ დარდანელის სრუტის ნაპირებზე ფიცხელი ბრძოლაა გაჩაღებული. ბულგარელებს, სერბიელებს და ბერძნებს განუწყვეტელი იერიში მიაქვთ გალიპოლის ნახევარ კუნძულის სიმაგრეებზე.

ოსმალეთის დაზიანებული ჯავშნოსნები.

სტამბოლიდან იუწყებიან: შავი ზღვიდან ბუქსირით მოიყვანეს კრეისერი „ჰამიდიე“ და „ოქროს რქის“ დოკში დააყენეს. კრეისერი დიდად დაზარალებულია: ზარბაზანს მოუგლეჯია ანძა, ნაღმისაგან გვერდი აქვს შენგრეული. 10 ნოემბერს მოიყვანეს კრეისერი „მესუდიეც“, რომელსაც წყალ-ქვეშ ნაწილი აქვს დაზიანებული. რამდენსამე ადგილს ჯავშანიც გაურღვევია საკუთარი ზარბაზნების სროლისაგან.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები

პარიზი. გავასი ფორმულად აცხადებს, პუანკარე გარეშე პოლიტიკის თაობაზე დეკლარაციას წაიკითხავსო.

ბელგრადი. მმართველთა წრეში სულის განწყობილება ეხლა უფრო სანუგეშოა. ეს გამოიწვია გერმანიის და ავსტრიის ოფიციოზის წერილებმა მთავრობას იმედი აქვს ავსტრიის და სერბიის უთანხმოება სასურველად დაბოლოვდა.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება: პოლიტიკოსთა წრეში იმედი აქვთ, დიდ სახელმწიფოთა შორის ბალკანეთის საკითხის გამო ისეთ უთანხმოება არ წამოიშვება, რასაც საქმის გართულება შეეძლებაო.

კენისბერგი. რეიხს-კანცლერი ავალებს აღმოსავლეთის პრუსიის ობერ-პრეზიდენტს, დაამშვიდოს ხალხი და გამოუცხადოს რომ პრუსიის საომრად ძზადების ხმები სიმართლეს ჰღალატობსო.

პარიზი. პაშიჩმა „მატენის“ კორესპონდენტს შეატყობინა: სერბია ლესაცოს გამო არ შექმნის საკითხს Sirl dna nor.

ვენა. „კორესპონდენც-ბიუროს“ ტელეგრაფით ატყობინებენ ბუხარესტიდან: ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარის ინსპექტორი მიდის ბუხარესტშიო.

პრაგა. დაიჭირეს გაზეთი „ჩასი“, „პრავო“, „ლიდო“ „ჩეშსკი დენიკი“ და პროვინციის გაზეთები სახედრო ზომების გამოქვეყნების გულისთვის.

ვენა. „კორესპოდენც-ბიურო“ იტყობინება. დუსაცოში და სხვა ახლომახლო ქალაქებში ალბანელებმა ალბანეთის დამოუკიდებლობა აღიარესო.

ბურნო. პროსტეიკოში, მორავიოში, ჩეხელები ყოველდღე ჰმართავენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციას.

გაზეთებიდან.

დარდანელის დაკეტვა.

სტამბოლიდან იუწყებიან: დროებით შეაჩერეს სავაჭრო გემების მოძრაობა დარდანელის სრუტეში. გემები, რომელთაც ეგეის ზღვიდან ელოდნენ დღეს, აღარ მოვიდნენ.

შეკითხვა რუსეთის მობილიზაციის შესახებ.

ვენიდან „უტრო როსიის“ ატყობინებენ: ამბობენ, რომ გერმანია და შესაძლოა, ავსტრიაც, შეეკითხება რუსეთს: რა მიზანი აქვს რუსეთის ჯარის მოძრაობას გერმანიისა და ავსტრიის საზღვრებზე.

ვენის პრესა რუსეთის მობილიზაციის შესახებ

გაზ. „რეიხშპოსტ“მა პირველ გვერდზე დაბეჭდა წერილი, რომელშიც ცნობაა, ვითომ ერთ პეტერბურგელ დიპლომატს ეთქვას, რომ რუსეთმა 24 კორპუსი ჯარი მოიწვიაო. „ნეიე ფრ. პრესე“ ამოწმებს რუსეთის მობილიზაციის ცნობას და ამბობს, რომ ავსტრიის სამხედრო წრეებში მდგომარეობას მეტად კრიტიკულად სთვლიან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

16 ნოემბერი.

ჩიფუ. გავრცელდა რუსეთისა და ჩინეთის ომის ხმები. იმართება მიტინგები, საცა რუსეთს ბოიკოტს უცხადებენ.

ლონდონი. საზოგადო პალატაში გრეის შეეკითხნენ: კოროსტოვცევის მისია მონღოლიაში, ნაყოფი ხომ არ არის საზონოვის ლონდონში ყოფნისაო? გრეიმ უპასუხა: შემკითხავი სცდება, თუ ჰგონია ჩვენ რაიმე საერთო გვქონდეს რუსეთ-მონღოლიის ხელშეკრულებასთანაო.

რუსეთი

სათათბიროს თავმჯდომარის არჩევა

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ აირჩიეს 251 ხმით, 150 წინააღმდეგ მესამე სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე, ოქტომბრისტი მიხეილ ვასილის ძე როძიანკო.

გაზეთების დაჭერა.

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა „ლუჩის“ და „პრავდას“ ნომრები დაიჭირა.

ყაჩაღის შეპყრობა.

ეკატერინოდარი. შეიპყრეს ყაჩაღთა ბრბოს მეთაური სამარცევი.

კავკავი. სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია ყოფილ ატამან ვერშიცკის და ოთხი თანამსახურის საქმე. მათ ჰბრალდებოდათ სამსახურში უმოქმედობა, როცა ზელიმ-ხანი ყიზლარის ხაზინას დაეცა და გაცარცვა. სასამართლომ ყველას 1 წლის ციხე მიუსაჯა. ატამანის თანაშემწე და ბოქაული გაამართლა.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. ქართულ სახ. წარმ. მძართ. წრის დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, კვირას, 18 ნოემბერს პიესა „უმუშევარნი“-ს მაგიერ წარმოდგენილი იქნება 1. „სოფლის გმირები“ 4 მოქ. გად. პ. ირეთელის მიერ. 2. „მათიკო“ მხოლოდ მესამე მოქ. ა. ცაგარლისა.

რადგანაც ჩვენი ნიჭიერი მუსიკოსი ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი სიამოვნებით დასთანხმდა უფასოდ შემწეობა გაუწიოს „წრეს“, გამგეობამ გადასწყვიტა 29 ნოემბერს გამართოს კ. ფოცხვერაშვილის თაოსნობით ქართული სახალხო კონცერტი, მით უფრო, რომ „ახალი კლუბის“ მამასახლისებმა აღუთქვეს ორკესტრის უფასოდ დათმობა, ურომლისოდ შეუძლებელი იყო ასეთი დიადი მიზნის განხორციელება.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: **სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: **სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № . საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს 5 წ.

ბათომიდან: **სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: **სახ.-საბ.** № 8;7, დილ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: **სახ.** № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: **სახალ.** № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 2[illegible] წ.

მიხაილოვოდან სურამში **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: **სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: **სახ.** № 76, დილ. ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: **სახ** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: **სახ** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; **სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: **სახ** № 17, ნაშუაღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასი ა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათით-ა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი

„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის ყველა აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

წ. 1161

განცხადებანი

სილამაზის უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711

ვარდის ფერი ბროლის

=საპონი=

კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულჰენსი.

პარფიუმერია № 4711.

კიოლნი ნ. რ. რიგა.

დაარსებული 1792 წ.

ერთი ნაჭერი 25 კ

ყველგან იშოვება

Метцл. 309286 309266

(10.1433.3)



გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებანი

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ვეძებ ადგილს ძიძისა

ფასი მორიგებით. მისამართი: ქალ. ოზურგეთი ნიკო ჩიტაშვილთან.

3024.

ჭიათურის შავი-ქვის საერეცხ მექარხნეთა საყურადღებოდ: სატრიალებელი ღვედები Т-ва „Треугольникъ“-ისა წარმომადგენელი ჭიათურაში: ძმ. პ. გ. და მ. ლომაძე. 1560.

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.

683.



ექიმ ნაბასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაბასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებით ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. საზებით დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. აველიხანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1078 დოქტორი ბ. ა. ნაბასარდიანი.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მემკვიდრეობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

კვირას, 18 ნოემბერს, იხსნება

გამოფენა

ნ. კაფიევისა და მ. კანანოვის ფოტოგრაფიულ ნამუშავრისა, აბსოლვენტები, მიუნჰენის უმაღლეს საფოტოგრაფიო სკოლისა პეტრე დიდის ქუჩაზე № 16 (улица Петра Великаго № 16)

გამოფენა ოთხ დღეს გაგრძელდება, 21 ნოემბრამდე. დილის 11—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. შესვლა უფასოა. გამოფენის დასრულების შემდეგ, 22 ნოემბერს, იქვე დაიწყებს მუშაობას მიუნჰენის სკოლის სახელოსნო (ატელიე). 804

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროცენტისა.



ოქროს საათის ადგილას, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ. 70 კ. ღირს, გირჩევთ ხრონომეტრს, რომელიც სიყვარულობითა და მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ნამდვილ ოქროში. საათი ბტყელია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ორიგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი ხრონომეტრი კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის, ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათში ერთხელ იმართება. ჩვენი ფირმის გასავრცელებლად ყოველ საათს საჩუქრად ვატან 20 სხვა და სხვა ნივთს: 1. ნამდვილ ამერიკ. ოქროს ძეწკვს, 2. ბრელოკს კინემატოგრაფ. მშვენიერ ქალის სახით, 3. ზამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ქურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესესერი ტყავისას 4 აუცილ. საჭირო ნივთით, 9. სახლვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან საფულეს, 10 შემკვეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის საღებავი, 12. დ. ბეჭ. ბეჭედს ნამდ. ამერ. დუბლესას, 13. პარიზს პლასტოგ. ყოველგვარ სანახაობის ნამდვილად მაჩვენებელს, 14—19 ამ პლასტოგ 6 მეტ. და სავალისხმო სურათი. 20. სტეატრო ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან აახლოვებს სანახაობას. ყველა ეს მხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი—9 მ. 30 კ. ორივე სახურავებიანი 5 მ. 70 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსის წლის თავდებობით. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი—40 კ., ციმბირში—75 კ.

მისამართი: Складъ часовъ Т-во „Аккуратность“, Варшава, отд. 73.

მეტცლ. № 61273. 1590



ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები.

ფიზიოლოგიური ლექცია არეშიძისა	20 კ.
ტვინი და სული. გომართელისა	5 „
ბუნება და ადამიანი დრეპერისა	5 „
ცა და დედა-მიწა ივანოვისა	20 „
მწვანე სამეფო ლუნკევიჩისა	20 „
ჭიანჭველების ცხოვრება მისივე	15 „
ფიზიკა. ჰაერი და მისი თვისებანი, ალ. მირიანაშვილისა	15 „
ბუნების ცოდნა. პოლბერისა	25 „
მეხის ამბავი ქივატოვსკისა	15 „
ჰაერი და სითბო მისივე	15 „
როგორ საზრდოობს მცენარე	25 „
ქიმია. როსკოსი	30 „
ამბავი ცხოველთა სამეფოსი	50 „
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 „
მიკროსკოპიულნი ორგანიზმნი	20 „
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა	60 „
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა	2 მან.
იგივე ნაწ. II „ქართლი“ ვახუშტისა	25 კ.
კალმასობა იოანე ბატონიშვილისა	1 მან.
მოგზაურობა წმ. ქალ. იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ კონჯუაშვილისა	1 მან.

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძმველოვები.

პუშკი ს ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა); ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგილი, და ყოველგვარი

შავი ხიზილალა

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.